



საქმე №190210014491571



თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

საქმე №2ზ/3437-14

04 აგვისტო 2014 წ.
თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:

ქეთევან კუჭავა (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
მოსამართლეები:
თინათინ ეცადაშვილი
გოდერძი გიორგიშვილი

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

საჩივრის ავტორი – მ. კ.
მოწინააღმდეგე მხარე – დ. ს.

გასაჩივრებული განჩინება – რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 24.04.2014წ. განჩინება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

საჩივრის ავტორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული განჩინების დასკვნებზე მითითება:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 24.04.2014წ. განჩინებით დ. ს.-ს განცხადება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა: ყადაღა დაედო მოპასუხე მ. კ.-ს საკუთრებაში არსებულ ქონებას, ავტომანქანა ფორდ ტრანზიტი, სახელმწიფო ნომრით CFC-XXX, გამოშვების წელი 2001, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა AXXXXXXXX, ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო #XXXXXXXXXXXXXXXXXXXX.

განცხადების დაკმაყოფილების საფუძველად სასამართლომ მიუთითა შემდეგი:

სარჩელის უზრუნველყოფის მიზანია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების



უზრუნველყოფა. ეს მიზანი ნათლადაა გამოკვეთილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლში, რომლის თანახმად სარჩელის უზრუნველყოფა დასაშვებია, თუ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფა ესაა სასამართლოს გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისთვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება მოპასუხისათვის გარკვეული უფლებების შეზღუდვის გზით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე. გადაუდებელი შემთხვევის არსებობის მტკიცების ტვირთი ეკისრება განმცხადებელს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებაზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და ასაბუთებელი ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს ანჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფა დროებითი ხასიათის ღონისძიებაა, რომელიც სასამართლოს მიერ სასარჩელო სამართალწარმოების წესით დადგენილი უფლების რეალიზებას უწყობს ხელს, იგი სასამართლო მოთხოვნის დაცვასა და ეფექტურად განხორციელებას ისახავს მიზნად. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, სასამართლო იყენებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, იმ შემთხვევაშიც კი თუ უზრუნველყოფის საგანი და სარჩელის საგანი ემთხვევა ერთმანეთს.

სასამართლო საქმეზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას ყურადღებას ამახვილებს სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველზე, კერძოდ, სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღუსრულებლობის შეუძლებლობის საშიშროებაზე და ასევე იმაზეც, თუ რამდენად გამართულია სასარჩელო მოთხოვნა. სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული მართებულობა არის სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთი აუცილებელი საფუძველი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მისაღებად.

სასამართლომ მიიჩნია, რომ განცხადებაში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ყველა აუცილებელი პირობა, რის გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. განცხადებასა და თანდართულ მასალებში მოყვანილი ფაქტები ასევე ადასტურებენ, რომ ადგილი აქვს გადაუდებელ შემთხვევას, რის გამოც უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული.



რუსთავის საქალაქო სასამართლოს 24.04.2014წ. განჩინებაზე საჩივარი წარადგინა მ. კ.-მ, რომლითაც ითხოვს გაუქმდეს სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინება.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 მაისის განჩინებით მ. კ.-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდა და განსახილველად გადმოეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ საჩივარს, შეისწავლა საქმის მასალები, მიაჩნია, რომ მ. კ.-ს საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე მე-4 ნაწილის მიხედვით, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ საჩივრებში მითითებული გარემოებები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და შესაბამისად გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალურ სამართლებრივ საფუძვლებს.

ამავე კოდექსის 390-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე ხელმეორედ არ წყდება არსებითად, მიიღება განჩინების ფორმით. ამ მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების, ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებას და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ



უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე. პალატა განმარტავს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ სასამართლოს ვარაუდი, თავის მხრივ, ემყარება არა სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლიანობისა და მტკიცებულებათა შემოწმების შედეგად მიღებულ დასკვნას, რაც მხოლოდ საქმის არსებითად განხილვის შედეგია, არამედ, სასარჩელო მოთხოვნის (ნაწილობრივ ან სრულად) სამართლებრივ მართებულობას.

სარჩელის უზრუნველყოფის მიზანია სარჩელზე მისაღები გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების, ან შეუძლებლობის თავიდან აცილება მოპასუხისათვის გარკვეული უფლებების შეზღუდვის გზით. სარჩელის უზრუნველყოფა წარმოადგენს სასამართლოს მიერ გამოყენებული დროებითი ღონისძიების სახეს, იმ მნიშვნელოვან მექანიზმს, რაც საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების რეალურად აღსრულების გაჭიანურება ან მისი აღუსრულებლობა. უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონებრივი უფლებების დაცვის გარანტიას და ემსახურება ამ უკანასკნელთა დარღვეული უფლებების სრულ და რეალურ აღდგენას.

განსახილველ შემთხვევაში, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის საჯარო მიზნისა (რასაც სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა წარმოადგენს) და საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული კერძო ინტერესის სამართლიანი ბალანსის დადგენის მიზნით შემოწმების შედეგად, სასარჩელო მოთხოვნისა და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული განჩინებით გამოყენებული ღონისძიებით განხორციელებული შეზღუდვა გამართლებულია.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა იზიარებს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 24.04.2014წ. განჩინებაში, ასევე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და საჩივრის ზემდგომ სასამართლოში გადმოგზავნის თაობაზე ამავე სასამართლოს 14.05.2014წ. განჩინებაში მოცემულ მსჯელობასა და დასკვნებს. მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება მიღებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობს საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე, არ გასაჩივრდება.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე, 372-ე, 390-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. კ.-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;



2. უცვლელი დარჩეს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 24.04.2014წ. განჩინება.

3. განჩინება არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე:

ქ. კუჭავა

მოსამართლეები:

თ. ეცადაშვილი

გ. გორგიშვილი